

## თავი 21

### გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა

#### 1. DCF ანალიზი ეს არის:

- ა) დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზი;
- ბ) წმინდა მიმდინარე ღირებულების დაბანდებულ ინვესტიციასთან თანაფარდობა;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

#### 2. კაპიტალის ღირებულების მეთოდის გამოყენებისას რენტაბელობის მოცემული ნორმა ტოლია:

- ა) საკუთარი კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების;
- ბ) საკუთარი და მოზიდული კაპიტალის ღირებულების წილობრივი თანაფარდობის შეწონილი თანხის;
- გ) მთლიან კაპიტალზე მოტანილი უკუგების ნორმის.

#### 3. კაპიტალის ღირებულების მეთოდით არჩეული რენტაბელობის ნორმა, როგორც წესი გამოიყენება:

- ა) მარალრისკიანი პროექტების მიმართ;
- ბ) დაბალრისკიანი პროექტების მიმართ;
- გ) საშუალორისკიანი პროექტების მიმართ.

#### 4. ინვესტიციური ზღვარი ეს არის:

- ა) კაპიტალდაბანდების გამოყენების პერიოდის დასასრული;
- ბ) დრო, როდესაც ფულადი შემოსავლები შეუმჩნეველი ხდება;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

#### 5. ინვესტიციებიდან შემოსავლელი ფულადი ნაკადები:

- ა) ითვლება დიფერენცირების მეთოდით;
- ბ) ითვლება მოხლოდ შემოსული ფულის ნაკადებით;
- გ) ითვლება მხოლოდ ის ფულადი ნაკადები, რომლებსაც ადგილი ექნებოდა კაპიტალდაბანდება რომ არ მომხდარიყო.

#### 6. რომელია სწორი მსჯელობა:

- ა) ინვესტიციებიდან მისაღები ფულადი შემოსავლები კორექტირდება ინფლაციის მაჩვენებლით;
- ბ) ინვესტიციებიდან მისაღები ფულადი ნაკადების ინფლაციის მაჩვენებლით კორექტირება არ ხდება, რადგან დისკონტის მაჩვენებელი უკვე ითვალისწინებს ინფლაციის სემადგენელს;
- გ) მისაღები ფულადი შემოსავლების ინფლაციის მაჩვენებლით კორექტირდება ხდება მათ დისკონტირებამდე.

#### 7. კაპიტალდაბანდების შედეგად ხდება მოძველებული ძირითადი საშუალების სეცვლა, რომელსაც ყოველწლიურად მოჰქონდა 5000 ლარის უკუგება. 5000 ლარი მიმდინარე კაპიტალდაბანდებისათვის არის:

- ა) ალტერნატიული შემოსავალი;
- ბ) ალტერნატიული დანახარჯი;
- გ) სუფთა ფულადი შემოსავალი.

**8. რენტაბელობის შიგა ნორმა IRR:**

- ა) ფულადი შემოსულობების მიმდინარე ღირებულების სიდიდეს ინვესტიციის ოდენობას უთანაბრებს;
- ბ) NPV-ს ნულის ტოლს ხდის;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

**9. საშუალო წლიური მოგების შეფარდება წმინდა აქტივების საშუალო საბალანსო ღირებულებასთან გვაძლევს:**

- ა) დაბანდებულ კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელს;
- ბ) უკუგების სააღრიცხვო განაკვეთს;
- გ) რენტაბელობის შიგა ნორმას.

**10. სააღრიცხვო მოგების ფარდობით წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებასთან გაითვლება:**

- ა) ROCE კოეფიციენტი;
- ბ) ARR კოეფიციენტი;
- გ) IRR კოეფიციენტი.

**11. ერთერთი ფაქტორი, რომლის გამოც მენეჯერებმა შეიძლება არ ისარგებლონ დისკონტირებულ შემოსავლებზე დაყრდნობილი მეთოდებით, შეიძლება იყოს:**

- ა) უპირატესობის მინიჭება მოგებიანობის გრძელვადიან მაჩვენებლებზე;
- ბ) უპირატესობის მინიჭება მოგებიანობის მოკლევადიან მაჩვენებლებზე;
- გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**12. მოგებიანობის ინდექსი გამოიყენება:**

- ა) ძიების პრობლემის გადაწყვეტისას;
- ბ) უპირატესობის პრობლემის გადაწყვეტისას;
- გ) ორივე შემთხვევაში.

**13. კაპიტალდაბანდების გამოყენების პერიოდი არის:**

- ა) იმ წელთა რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საინვესტიციო საქმიანობის შედეგად ფულადი შემოსავლების მიღება;
- ბ) იმ წელთა რაოდენობა, რომლის დროსაც ხდება კაპიტალდაბანდებიდან მიღებული ფულადი შემოსავლებით კაპიტალდაბანდების გამოსყიდვა;
- გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**14. თუ ახალი აქტივების შეძენას თან ახლავს ადრე გამოყენებული აქტივების რეალიზაცია, მაშინ რეალიზაციიდან მიღებული სუფთა შემოსავალი:**

- ა) არ გამოიქვითება დიფერენცირებული ინვესტიციების სიდიდიდან;
- ბ) გამოიქვითება დიფერენცირებული ინვესტიციების სიდიდიდან;
- გ) დაემატება დიფერენცირებული ინვესტიციების ღირებულებას.

**15. ინვესტიციის შემოთავაზებული ვარიანტი მისაღებად ითვლება, თუ ფულადი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებასა და ინვესტიციის თანხას შორის სხვაობა:**

- ა) ნულზე მეტია;
- ბ) ნულზე მეტია ან ტოლია ნულის;
- გ) ნულზე ნაკლებია.

**16. წმინდა დისკონტირებული ღირებულება არის:**

- ა) ფულადი შემოსულობების მიმდინარე ღირებულებისა და ინვესტიციის თანხის ჯამი;
- ბ) ფულადი შემოსავლების მიმდინარე ღირებულებასა და ინვესტიციის თანხას შორის სხვაობა;
- გ) არცერთი პასუხი არ არის მართებული.

**17. საინვესტიციო დანახარჯები არის:**

- ა) დანახარჯები, რომლებიც წარმოიშობიან ინვესტიციის განხორციელებამდე ფულადი და არაფულადი სახით;
- ბ) ფულადი სახსრების ის გადინებები, რომლებიც ინვესტიციის სედეგად წარმოიქმნა და რომლებიც არ იქნებოდა რომ არა განხორციელებული საინვესტიციო პროექტი;
- გ) არცერთი პასუხი არ არის მართებული.

## ამოცანა №1

კომპანია ცდილობს ინვესტიციების ორი პროექტიდან ერთ-ერთის შერჩევას. არსებობს შემდეგი ინფორმაცია:

|                              |           | პროექტი 1 | პროექტი 2 |
|------------------------------|-----------|-----------|-----------|
| კაპიტალური დანახარჯები, ლარი |           | 75000     | 75000     |
| მოგება (ზარალი):             | 1-ლი წელი | 30000     | 25000     |
|                              | მე-2 წელი | 30000     | 15000     |
|                              | მე-3 წელი | 20000     | 20000     |
|                              | მე-4 წელი | (10000)   | 20000     |
|                              | მე-5 წელი | (10000)   | (15000)   |

### დამატებითი ინფორმაცია:

- (1) მოსალოდნელია, რომ თითოეული პროექტი იმოქმედებს 5 წლის მანძილზე, რომლის ბოლოს არ დარჩება სალიკვიდაციო ღირებულება.
- (2) მითითებულ პროექტებზე კაპიტალური დანახარჯები უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ.
- (3) მოგების სიდიდე ნაჩვენებია თანაბრად დარიცხული ამორტიზაციის (15000 ლარი) ჩართვის შემდეგ.
- (4) საჭიროა გადასახადის გადახდის უგულებელყოფა.
- (5) 1 ლარის მიმდინარე ღირებულება პერიოდის ბოლოს:
 

|           |         |           |         |
|-----------|---------|-----------|---------|
| 1-ლი წლის | - 0,869 | მე-4 წლის | - 0,571 |
| მე-2 წლის | - 0,756 | მე-5 წლის | - 0,497 |
| მე-3 წლის | - 0,657 |           |         |

### მოითხოვება:

- 1) გავიანგარიშოთ ყოველი პროექტისათვის:
  - ა) უკუგების პერიოდი წლებში მეათედების სიზუსტით;
  - ბ) წმინდა მიმდინარე ღირებულება **NPV**
- 2) განვმარტოთ, რომელი პროექტის მიღებას გავუწევდით რეკომენდაციას და რატომ.

## ამოცანა №2

აღჭურვილობა, რომლის შესყიდვის ფასია 14000 ლარი, ცვლის ხელის ოპერაციებს, რომელზედაც დანახარჯები წელიწადში 4000 ლარია. აღჭურვილობის ექსპლუატაციის ვადა 5 წელია, ამ პერიოდის ბოლოსათვის მას არ გააჩნია ნარჩენი ღირებულება.

### მოითხოვება გავიანგარიშოთ:

- (ა) ფულადი საშუალებების დისკონტირებული ნაკადების უკუგების განაკვეთი – **IRR**;
- (ბ) ფულადი სახსრების დისკონტირებული ნაკადების უკუგების 12%-იანი განაკვეთის მისაღწევად საჭირო ყოველწლიური დაგროვების დონე;
- (გ) წმინდა მიმდინარე ღირებულება **NPV** – თუ კაპიტალის ღირებულება შეადგენს 10%-ს.

## ამოცანა №3

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც ეხება კაპიტალდაბანდების ორ პროექტს, რომელთაგანაც საჭიროა ერთის არჩევა. საწყისი დანახარჯები ორივე პროექტზე ცალ-ცალკე შეადგენს 200000 ლარს და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი შეიძლება იქნას მიღებული.

|                     | პროექტი X | პროექტი Y |
|---------------------|-----------|-----------|
| მოსალოდნელი მოგება: | ლარი      | ლარი      |
| 1-ლი წელი           | 80000     | 30000     |
| მე-2 წელი           | 80000     | 50000     |
| მე-3 წელი           | 40000     | 90000     |
| მე-4 წელი           | 20000     | 120000    |

გაყიდვის შეფასებული

ღირებულება მე-4 წლის ბოლოსათვის 40000 40000

- 1) მოგება გაიანგარიშება ამორტიზაციის გამოკლების შემდეგ წრფივი მეთოდით.
- 2) დისკონტირების შესაბამისი კოეფიციენტები:

|                 |       |
|-----------------|-------|
| 1-ლი წლის ბოლოს | 0,862 |
| მე-2 წლის ბოლოს | 0,743 |
| მე-3 წლის ბოლოს | 0,641 |
| მე-4 წლის ბოლოს | 0,552 |

**მოითხოვება:**

ორი პროექტისათვის გავიანგარიშოთ:

- 1) უკუგების პერიოდი მათელი სიზუსტით;
- 2) უკუგების სააღრიცხვო განაკვეთი **ARR** კაპიტალდაბანდების საშუალო მნიშვნელობის გამოყენებით;
- 3) **NPV**.